ტურგის ძირითადი ბირთვი. მეტი მომთხოვნელობით ვეკიდებით დასადგმელად მისაღებ ნაწარმოებებს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

თეატრთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ კომპოზიტორებს: შ. მილორავას, რ. ლაღიძეს, ა. კერესელიძეს, გ. ცაბაძეს, ს. ცინცაძეს, ვ. ცაგარეიშვილს, შ. ჯოჯუას, დრამატურგებს: ლ. ქუბაბრიას, დ. გაჩეჩილაძეს, ნ. ხუნწარიას, პ. გრუზინსკის, გ. ნახუცრიშვილს და სხვ.

თავიანთ შემოქმედებაში ქართველი კომპოზიტორები და დრამატურგები ორიგინალური გზით მიდიან, ეძებენ ახალ გამომსახველობით ხერხებს და საშუალებებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები — „სიმღერა თბილისზე“ და „ორი ქალიშვილი“, რომლებიც შექმნილია თეატრთან შემოქმედებით კავშირში, დაიდგა ბაქოსა და ერევანში. მიმდინარე სეზონში მოსკოვის ოპერეტის თეატრში დაიდგმება კომპოზიტორ გ. ცაბაძისა და ახალგაზრდა დრამატურგ ნ. ხუნწარიას „შესანიშნავი სამეული“, ხოლო კიევში — კომპოზიტორ შ. მილორავას და დრამატურგ ლ. ქუბაბრიას „სამი უფროსის მსახური“.

თეატრის კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ სრულფასოვანი დადგმების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედებით-საშემსრულებლო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას. ამიტომ მსახიობთა შემადგენლობა ყოველწლიურად ივსება ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით. მსახიობთა უფროს და საშუალო თაობას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს: ელ. ჩოხელს, ბ. იანვარაშვილს, ქ. კობახიძეს, ე. გურაშვილს, თ. მერკვილაძეს, ვ. სალარიძეს, გ. ბერიაშვილს, მსახიობებს: ო. ბახტაძეს, თ. ხელაშვილს, ზ. კახიანს, ი. ქუთათელაძეს, ჯ. თალაკვაძეს, დიმ. მაჭავარიანს, მ. ხოფერიას, ნ. ლაღიძეს, შ. ტეტუნაშვილს და სხვ., გვერდში უდგანან უკანასკნელ პერიოდში თეატრში მოსული ახალგაზრდები: ლ. ჩიბალაშვილი, უ. რატიანი, ლ. კორძაძე, ი. ვასაძე, ჯ. სარალიძე, რ. გასვიანი, ნ. პეტრიაშვილი, ბ. ბეგალიშვილი და სხვ.

მიმდინარე სეზონში სცენაზე პირველად გამოვლენ თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური კომედიის განყოფილების კურსდამთავრებულები: ბ. ნებიერიძე, ა. დაშნიანი და ნ. პიპინაშვილი.

ახალი სეზონი გაიხსნება 26 ოქტომბერს, რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 127).

თეატრში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით სეზონის პირველი სპექტაკლი იქნება შ. მილორავასა და ლ. ქუბაბრიას — „სიმღერა თბილისზე“, რომლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. მესხს, დირიჟორი — თეატრის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბორჩხაძე, მხატვარი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი, ბალეტმეისტერი — დ. მაჭავარიანი, ხორმეისტერი — ოთ. მელია.

მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში თეატრს განზრახული აქვს დადგას კლასიკური მემკვიდრეობიდან ი. კალმანის ცნობილი ოპერეტა „მონმარტრის ია“ და სულხან ცინცაძის ახალი ოპერეტა, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის პ. გრუზინსკის. პირველს დგამენ: სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შოთა მესხი, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბორჩხაძე; მეორეს დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. გამრეკელი.

მსგავსად წინა წლებისა, ჩვენი თეატრი გასვლით საგასტროლო წარმოდგენებს და კონცერტებს გამართავს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, ქარხნების, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების კულტურის სახლებსა და კლუბებში. საშეფო მომსახურეობას გაუწევს საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს. გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ გასტროლები, გასვლითი კონცერტები კოლექტივს ეხმარება გააფართოვოს მაყურებელთა კონტიგენტი, ახლოს მივიდეს ხალხთან, იცხოვროს ჩვენი ქვეყნის მაჯისცემით.

მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო მაყურებლებო!

**ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე**